შ.პ.ს. საპროექტო,
არქიტექტურულ–დიზაინერული სტუდია
„ბაზისი XXI“ (ID: 202235296)
საქართველო. თბილისი.
დავით აღმაშენებლის გამზ. №63-ა
ტელ. (+995 595) 27 21 27
e-mail: bazisi_xxi@yahoo.com
№72/25

L.T.D. projecting,
architect-design studio
„BAZISI XXI“ (ID: 202235296)
№63a Agmashenebeli av.
Tbilisi. Georgia
mob. (+995 595) 27 21 27
e-mail: bazisi_xxi@yahoo.com
„04“ მარტი 2025წ

საექსპერტო შეფასება (დასკვნა)

ქალაქი თბილისი, ქუჩა ქინძმარაული, №37 ; ქალაქი თბილისი, ქუჩა ქინძმარაული, №37 ; ქალაქი თბილისი, ქუჩა ქინძმარაული, №37, (ნაკ3.15/058) ; ქალაქი თბილისი, ქინძმარაულის ქუჩა №37 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ქინძმარაული, №37, (ნაკ3.15/056) ; ქალაქი თბილისი, ქუჩა ქინძმარაული, №37, (ნაკ3.15/059) ; ქალაქი თბილისი, ქუჩა ქინძმარაული, №37, (ნაკ3.15/061) ; ქალაქი თბილისი, ქუჩა ქინძმარაული, №37, (ნაკ3.15/054) ; ქალაქი თბილისი, ქუჩა ქინძმარაული, №37, (ნაკვეთი 15/050) ; ქალაქი თბილისი, ქუჩა ქინძმარაული, შპს „თბილისი დრაი პორტი“-ს (ID: 405483454) საკუთრების მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდი: № 01.19.33.015.233 ასაშენებელი მრავალფუნქციური კომპლექსის ობიექტების: B კლასის სასაწყობე შენობის, საოფისე შენობის; დამხმარე და საინჟინრო შენობა-ნაგებობების შეთანხმებული პროექტის ცვლილების (კორექტირებული პროექტის) კონსტრუქციულ ნაწილზე.

ექსპერტიზაზე განსახილველად წარმოდგენილია: ქალაქი თბილისი, ქინძმარაულის ქუჩა №37, შპს „თბილისი დრაი პორტი“-ს (ID: 405483454) საკუთრების მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდი: № 01.19.33.015.233 ასაშენებელი მრავალფუნქციური კომპლექსის ობიექტების: B კლასის სასაწყობე შენობის, საოფისე შენობის; დამხმარე და საინჟინრო შენობა-ნაგებობების შეთანხმებული პროექტის ცვლილების (კორექტირებული პროექტის):

1. კონსტრუქციული ნაწილი, ელექტრონული ვერსიის სახით;
2. არქიტექტურული ნაწილი, ელექტრონული ვერსიის სახით;
3. სამშენებლო მოედნის ტოპოგადაღება და გეოლოგიური კვლევა-ძიების მასალები;
4. კონსტრუქციული ნაწილის ანგარიშები, შესრულებული პროგრამული კომპლექსის „SAP2000 v22.0.0“ და „Robot Structural Analysis Professional 2021“-ის საშუალებით, ელექტრონული ვერსიის სახით.

დამკვეთი:	შპს „თბილისი დრაი პორტი“ (ID: 405483454)
საპროექტო ორგანიზაცია:	შპს „არტსტუდიო-პროექტი“ (ID: 204489393)
პრ. მთ. არქიტექტორი:	გიორგი სულაბერიძე
პრ. მთ. კონსტრუქტორი:	ერჰან თოფდემირი
კონსტრუქტორები:	მ. საჯაია; კ. მეგრელიშვილი
ექსპერტი-კონსტრუქტორი:	ვახტანგ ჯაფარიძე, შ.პ.ს. „ბაზისი XXI“

სამშენებლო მოედანი ხასიათდება შემდეგი გეოფიზიკური და კლიმატური მონაცემებით:
- სეისმურობა 8 ბალი (MSK 64 სკალის მიხედვით, ქალაქი თბილისი მიეკუთვნება 8 ბალიანი სეისმურობის ზონას, ჰორიზონტალური აჩქარება შეადგენს: A=0.17g);
- ქარის ნორმატიული დაწნევა შეადგენს: 100,0 კგძ/მ^2;
- თოვლის საფარის დატვირთვა შეადგენს: 50,0 კგძ/მ^2;
- საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე საძირკვლების ფუძედ მიღებულია თიხნარი გრუნტი, (ფენა №3, სგე-2), საანგარიშო წინაღობით კუმშვაზე ბუნებრივი ტენიანობის მდგომარეობაში: Ro=1,62კგძ/სმ^2, დეფორმაციის მოდულით: E=165,0 კგძ/სმ^2.

შეთანხმებული პროექტის (ბრძანების ნომერი № 6960771 4.01.2024) ცვლილება (კორექტირებული პროექტი) ითვალისწინებს შემდეგს:

- B. კლასის საწყობის შენობაში (შენობა №1) დაკორექტირდა „ბ/ა“-„ბ/დ“ ფასადზე მდებარე რკინა-ბეტონის პანდუსი, მოიხსნა მოაჯირები. ასევე „ბ/7“-„ბ/1“ ფასადზე მდებარე რკინა-ბეტონის კიბეები ჩანაცვლდა ლითონის კიბეებით. დაკორექტირდა. „ბ/1“-„ბ/7“ ; „ბ/7“-„ბ/1“ ფასადებზე მდებარე ღიობების გაბარიტები და ადგილმდებარეობები; საწყობში მდებარე შიდა ოფისის სიმაღლე გახდა +3,20მ. შენობის ფასადზე არსებული სენდვიჩის ფერები გადათამაშდა. გაუქმდა ყვითელი ფერი, ლურჯი სენდვიჩების ლოკაციები შეიცვალა.
- ოფისის შენობაში (შენობა №2) შენობის წინა ფასადის გარდა, დანარჩენი სამი ფასადის მხარეს კორექტირების შედეგად, კედლები ბლოკით ამოშენების ნაცვლად იქნება 8სმ სისქის სენდვიჩპანელი. „od“ და „o5“ ღერძების გასწვრივ დაემატა ფახვერკის (დამხმარე) სვეტები;
  სხვა კორექტირებები კი მოიცავს: „ო/1“-„ო/5“ ფასადზე შეიცვალა ვიტრაჟის დიზაინი, გაუქმნდა ორი კარი,მოიხსნა „ო/1“-„ო/2“ ღერძებში მდებარე რკინა-ბეტონის კიბე, დაკორექტირდა „ო/5“-„ო/1“ ფასადზე ღიობების გაბარიტები და ადგილმდებარეობები და ასევე ოფისის ჩრდილოეთ ფასადზე მიდგმული საბოილეროში შეიცვალა კარის გაბარიტი და ასევე დაემატა ღიობი. ასევე გადახურვის ფილა შეიცვალა და მოეწყობა სენდვიჩპანელებით.
- მექანიზაციის შენობაში (შენობა №3), კორექტირების შედეგად: მთავარი კარი „მ/1“-„მ/2“ ფასადიდან გადმოვიდა „მ/2“-„მ/1“ ფასადზე. „მ/ბ“-„მ/ა“ ფასადზე დაემატა ფანჯრის ორი ღიობი ოფისებისთვის. საინსპექციო ორის ორმო ნაცვლად ეწყობა მხოლოდ ერთი, გაბარიტებით 4,5X0,85მ, რომელიც ნულიდან 1,70მ-ით ჩადის დაბლა. „მ/ა“-„მ/ბ“ ფასადზე მიედგა სენდვიჩპანელის ჯიხური გაბარიტებით: 2X2მX2,3(h)მ.
- პროექტს დაემატა ახალი, ორსართულიანი საოფისე შენობა (შენობა №4), გაბარიტებით: 14,0X8,50მ, სიმაღლით: 5,21მ. საოფისე შენობის კედლები და სახურავი სენდვიჩპანელებისაა „ა-დ“ ფასადზე მიდგმულია მეორე სართულზე ასასვლელი ლითონის კიბე.
- ასევე დაემატა ვიზიტორთა სივრცე და მეორადი მანქანების ინსპექტირების ცენტრი (შენობა №5). რომლის გაბარიტებია 38,0X38,0მ. შენობა მოეწყობა მსუბუქი (ლითონის) კონსტრუქციით და შეიმოსება „სენდვიჩი“-ს ტიპის პანელებით. გადახურული სივრცის ერთი ნაწილი განკუთვნილია ტერიტორიაზე მსუბუქი ავტომობილების შესვლა-გასვლის უზრუნველყოფისთვის. შესაბამისად არის სამუშაო ოთახები მომსახურე პერსონალისთვის, სათავსი, სამზარეულო და სველი წერტილი. უკანა გადახურული სივრცე წარმოადგენს ავტომანქანებიდან ტვირთის გადმოსაზიდ ადგილს უამინდობის პერიოდში.
- ტერიტორიაზე ასევე განთავსებულია 3 დაცვის ჯიხური (შენობა №6; №7; №8). შენობა №6 და №7 გაბარიტებით: 3,0X4,5X2,25(h)მ, შენობა №8 გაბარიტებით 2,0X2,0X2,25(h)მ. კორექტირებისას ჯიხურები მთლიანად შეიცვალა. ჯიხურები მიწის დონიდან 10სმ-ით არის აწეული. გადახურვა ერთქანობიანია, კორექტირების შედეგად, კედლები ბლოკით ამოშენების ნაცვლად, იქნება 5სმ სისქის სენდვიჩპანელების.
- საინჟინრო ნაგებობა წყლის რეზერვუარი (შენობა №9), გაბარიტებით 12,90X38,40მ, სიმაღლით: 4,20(h)მ. შენობა მთლიანად რკინა-ბეტონისაა. კორექტირება მოიცავს ნაგებობის რკინა-ბეტონის კიბის ცვლილებას, კიბე ორმარშიანის ნაცვლად გახდა ერთმარშიანი და კიბის გარშემო მოეწყობა მცირე სიმაღლის საყრდენი კედელი.
- დაკორექტირდა ნაკვეთზე გათვალისწინებული ღობეც. შეიცვალა მისი ლოკაციები და ტიპები. ღობე ახლა 3 ტიპისაა: ლენტური საძირკვლით მოწყობილი დია ღობე,

წერტილოვანი საძირკვლით მოწყობილი დროებითი ღია ღობე და თუნუქის დახურული ღობე ლენტური საძირკვულით, ღობის სიმაღლე: 2,0მ და 1,60მ.
- პროექტში დაემატა საყრდენი კედელი და სასწორი, რომელიც მექანიზაციის სამხრეთით მდებარეობს. საყრდენი კედლის კონსტრუქციული სიმაღლე 2,05მ-ია.

ქალაქი თბილისი, ქინძმარაულის ქუჩა №37-ში, შპს „თბილისი დრაი პორტი“-ს (ID: 405483454) საკუთრების მიწის ნაკვეთზე ასაშენებელი სასაწყობე, საოფისე და მექანიზაციის შენობები წარმოადგენს სამი დამოუკიდებელი ბლოკისაგან შედგენილ ნაგებობას. საოფისე და საწყობის შენობები საძირკვლის დონეში, ერთმანეთის მომიჯნავე ნაწილში განთავსებულია საერთო საძირკვლებზე, ხოლო მექანიზაცის შენობა დამოუკიდებელი ნაგებობაა. მიწისზედა ნაწილში სამივე შენობა ერთმანეთისგან გამოყოფილია სადეფორმაციო ნაკერებით. საპროექტო მიწის ნაკვეთზე ასევე დაპროექტებულია: საოფისე შენობა, ვიზიტორთა სივრცე, მეორადი მანქანების ინსპექტირების ცენტრი, საყრდენი კედელი, სასწორი, რეზერვუარი და დაცვის ჯიხურები.

B კლასის სასაწყობე შენობა

სასაწყობე შენობა წარმოადგენს გეგმაში მარკუთხედის ფორმის ნაგებობას, გაბარიტული ზომებით ძირითად „b1“-„b7“ და „ba“-„bd“ ღერძებს შორის: 74,0X33,0მ. სასაწყობე შენობა ერთსართულიანია, სარდაფის გარეშე სართულის სიმაღლე შენობის იატაკის ფილის ზედა ნიშნულიდან შედგენს: 7,80 მეტრს. იატაკის ფილა, თავის მხრივ, აწეულია გარე ტერიტორიის დონესთან მიმართებაში.

საპროექტო სასაწყობე შენობის მაქსიმალური მალი გრძივი მიმართულებით შეადგენს: 12,50 მეტრს; მაქსიმალური მალი განივი მიმართულებით შეადგენს: 11,00 მეტრს.

საპროექტო შენობის პირობით ნიშნულს: ±0.00-ს შეესაბამება მიწისზედა I სართულის იატაკის დონე. კონსტრუქციული სქემის მიხედვით, სასაწყობე შენობა წინასწარდაძაბული, წინასწარჩამოსხმული ანაკრები რკ/ბეტონის კარკასული ტიპისაა.

საპროექტო სასაწყობე შენობის კონსტრუქციული ელემენტების დახასიათება

- საძირკვლები დაპროექტებულია ანაკრები რკ/ბეტონის წერტილოვანი ტიპის სახით სვეტების ქვეშ, გაბარიტული ზომებით: 420X420X45(h)სმ; 400X400X45(h)სმ; 360X200X45(h)სმ; 500X560X55(h)სმ; 560X610X55(h)სმ; საძირკვლების ქვეშ გათვალისწინებულია ბეტონის მოსამზადებელი ფენა, სისქით 10სმ, B15 კლასის ბეტონისაგან და 50-60სმ სისქის, ფენებად (20-25სმ) დატკეპნილი, მდინარის ხვინჭის ბალიში;
- საძირკვლის შემკრავი კოჭები დაპროექტებულია ანაკრები რკ/ბეტონისაგან, განივი კვეთებით: 30X40(h)სმ;
- I სართულის იატაკის ფილა და პანდუსები დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონისაგან, სისქით: 20სმ, იატაკის და პანდუსების ფილის ქვეშ გათვალისწინებულია დატკეპნილი ნაყარი გრუნტი, სამშენებლო ნარჩენები და ფენა-ფენა დატკეპნილი ხრეშის ბალიში;
- სვეტები დაპროექტებულია ანაკრები რკ/ბეტონისაგან, მართკუთხა განივი კვეთებით: 60X60სმ;
- ფახვერკის (დამხმარე) სვეტები დაპროექტებულია მართკუთხა პროფილის ლითონის მილებისაგან: □150X150X4მმ;
- რიგელები (კოჭები) დაპროექტებულია ანაკრები, წინაწარდაძაბული რკ/ბეტონისაგან, „T“-ს ფორმის განივი კვეთებით: 40X80(h)სმ;
- გარე კიბეები დაპროექტებულია ლითონის კონსტრუქციებით;
- სახურავი დაპროექტებულია ანაკრები, წინაწარდაძაბული რკ/ბეტონის ცვლადი

განივი კვეთის ფერმებით, რომელზეც ყოველ 1,76 მეტრში მონტაჟდება წინაწარდაძაბული რკ/ბეტონის გრძივები სახურავის ბურულის მოსაწყობად;
- კარკასის შემავსებელი კედლები და სახურავის ბურული დაპროექტებულია სენდვიჩის ტიპის პანელებისაგან.

საოფისე შენობა (№2)

საოფისე შენობა წარმოადგენს გეგმაში მარკუთხედის ფორმის ნაგებობას, გაბარიტული ზომებით ძირითად „o1"-„o5" და „oa"-„od" ღერძებს შორის: 33,60X21,50მ. საოფისე შენობა ერთსართულიანია, სარდაფის გარეშე, ნაწილში გააჩნია ანტრესოლის სართული. სართულის მაქსიმალური სიმაღლე შენობის იატაკის ფილის ზედა ნიშნულიდან შედგენს: 8,32 მეტრს.

საპროექტო საოფისე შენობის მაქსიმალური მალი გრძივი მიმართულებით შეადგენს: 8,50 მეტრს; მაქსიმალური მალი განივი მიმართულებით შეადგენს: 9,00 მეტრს.

საპროექტო შენობის პირობით ნიშნულს: ±0.00-ს შეესაბამება მიწისზედა I სართულის იატაკის დონე. კონსტრუქციული სქემის მიხედვით, საოფისე შენობა წინასწარდაძაბული, წინასწარჩამოსხმული ანაკრები რკ/ბეტონის კარკასული ტიპისაა.

საპროექტო საოფისე შენობის კონსტრუქციული ელემენტების დახასიათება

- საძირკვლები დაპროექტებულია ანაკრები რკ/ბეტონის წერტილოვანი ტიპის სახით სვეტების ქვეშ, გაბარიტული ზომებით: 500X500X55(h)სმ; 500X560X55(h)სმ; 560X610X55(h)სმ;
- საძირკვლების ქვეშ გათვალისწინებულია ბეტონის მოსამზადებელი ფენა, სისქით 10სმ, B15 კლასის ბეტონისაგან და 50-60სმ სისქის, ფენებად (20-25სმ) დატკეპნილი, მდინარის ხვინჭის ბალიში;
- საძირკვლის შემკრავი კოჭები დაპროექტებულია ანაკრები რკ/ბეტონისაგან, განივი კვეთებით: 30X40(h)სმ;
- I სართულის იატაკის ფილა დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონისაგან სისქით 20სმ, იატაკის ფილის ქვეშ გათვალისწინებულია დატკეპნილი ნაყარი გრუნტი, სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენები, ფენა-ფენა დატკეპნილი ხრეშის ბალიში;
- ძირითადი სვეტები დაპროექტებულია ანაკრები რკ/ბეტონისაგან, მართკუთხა განივი კვეთებით: 60X60სმ;
- „od" და „o5" ღერძების გასწვრივ, ფახვერკის (დამხმარე) სვეტები დაპროექტებულია მართკუთხა პროფილის ლითონის მილებისაგან: □150X100X4მმ;
- რიგელები (კოჭები) დაპროექტებულია ანაკრები, წინაწარდაძაბული რკ/ბეტონისაგან, „T"-ს ფორმის განივი კვეთებით: 40X80(h)სმ;
- შიდა კობეები დაპროექტებულია ლითონის კონსტრუქციებით;
- სახურავი დაპროექტებულია ანაკრები, წინაწარდაძაბული რკ/ბეტონის T"-ს ფორმის კოჭების თავზე ლითონის კონსტრუქციებით. სახურავის დგარები დაპროექტებულია მართკუთხა პროფილის ლითონის მილებისაგან: □50X50X5მმ; სახურავის ნივნივები დაპროექტებულია მართკუთხა პროფილის ლითონის მილებისაგან: □100X50X5მმ სახურავის გრძივები დაპროექტებულია მართკუთხა პროფილის ლითონის მილებისაგან: □80X40X3მმ;
- კარკასის შემავსებელი კედლები და სახურავის ბურული დაპროექტებულია სენდვიჩის ტიპის პანელებისაგან.

მექანიზაციის შენობა

მექანიზაციის შენობა წარმოადგენს გეგმაში მარკუთხედის ფორმის ნაგებობას, გაბარიტული ზომებით ძირითად „m1"-„m2" და „ma"-„mb" ღერძებს შორის: 12,00X16,00მ.

5296 ISI XXI LTD

მექანიზაციის შენობა ერთსართულიანია, სარდაფის გარეშე, სართულის მაქსიმალური სიმაღლე შენობის იატაკის ფილის ზედა ნიშნულიდან შედგენს: 7,62 მეტრს.

საპროექტო მექანიზაციის შენობის მაქსიმალური მალი გრძივი მიმართულებით] შეადგენს: 12,00 მეტრს; მაქსიმალური მალი განივი მიმართულებით შეადგენს: 16,00 მეტრს. საპროექტო შენობის პირობით ნიშნულს: ±0.00-ს შეესაბამება მიწისზედა I სართულის იატაკის დონე. კონსტრუქციული სქემის მიხედვით, მექანიზაციის შენობა წინასწარდაძაბული, წინასწარჩამოსხმული ანაკრები რკ/ბეტონის კარკასული ტიპისაა.

საპროექტო მექანიზაციის შენობის კონსტრუქციული ელემენტების დახასიათება

- საძირკვლები დაპროექტებულია ანაკრები რკ/ბეტონის წერტილოვანი ტიპის სახით სვეტების ქვეშ, გაბარიტული ზომებით: 280X280X45(h)სმ;
- საძირკვლების ქვეშ გათვალისწინებულია ბეტონის მოსამზადებელი ფენა, სისქით 10სმ, B15 კლასის ბეტონისაგან და 50-60სმ სისქის, ფენებად (20-25სმ) დატკეპნილი, მდინარის ხვინჭის ბალიში;
- საძირკვლის შემკრავი კოჭები დაპროექტებულია ანაკრები რკ/ბეტონისაგან, განივი კვეთებით: 30X40(h)სმ;
- I სართულის იატაკის ფილა დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონისაგან სისქით 20სმ, იატაკის ფილის ქვეშ გათვალისწინებულია დატკეპნილი ნაყარი გრუნტი, სამშენებლო ნარჩენები და ფენა-ფენა დატკეპნილი ხრეშის ბალიში;
- სვეტები დაპროექტებულია ანაკრები რკ/ბეტონისაგან, მართკუთხა განივი კვეთებით: 40X40სმ;
- ფახვერკის (დამხმარე) სვეტები დაპროექტებულია მართკუთხა პროფილის ლითონის მილებისაგან: □150X150X4მმ;
- საავტომობილო ორმოს ძირი და კედლები დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონისაგან, სისქით: 25სმ;
- სახურავი დაპროექტებულია ანაკრები, წინაწარდაძაბული რკ/ბეტონის ცვლადი განივი კვეთის ფერმებით, რომელზეც ყოველ 1,76 მეტრში მონტაჟდება წინაწარდაძაბული რკ/ბეტონის გრძივები სახურავის ბურულის მოსაწყობად;
- კარკასის შემავსებელი კედლები და სახურავის ბურული დაპროექტებულია სენდვიჩის ტიპის პანელებისაგან.

კონსტრუქციული სქემის მიხედვით, საპროექტო: სასაწყობე, საოფისე და მექანიზაციის შენობები წინასწარდაძაბული, წინასწარჩამოსხმული ანაკრები რკ/ბეტონის კარკასული ტიპისაა ბეტონის საპროექტო კლასი რკ/ბეტონის კონსტრუქციებში შეადგენს: C25/30; C30/37; C40/50; C45/55;

არმატურების საპროექტო კლასი რკ/ბეტონის კონსტრუქციებში შეადგენს: S500A. საპროექტო სასაწყობე, საოფისე და მექანიზაციის შენობების მზიდი კონსტრუქციული სისტემა გაანგარიშებულია 8 ბალიანი სეისმურობისათვის (MSK 64 სკალის მიხედვით, ქალაქი თბილისი, მიეკუთვნება 8 ბალიანი სეისმურობის ზონას, ჰორიზონტალური აჩქარება შეადგენს: A=0.17g);

საპროექტო სასაწყობე, საოფისე და მექანიზაციის შენობების საანგარიშო სქემას წარმოადგენს ანაკრები რკ/ბეტონის ჩარჩოვანი სისტემა: ანაკრები წერტილოვანი საძირკვლების, სვეტების, რიგელების (კოჭების), ფერმების და გადახურვის ფილების ერთობლივი მუშაობით. სასაწყობე, საოფისე და მექანიზაციის შენობების მზიდი კონსტრუქციების გეომეტრიული ზომები, პროფილები, ბეტონის კლასი და არმირება დაპროექტებულია შენობების მზიდი კონსტრუქციული სისტემის ანგარიშის შედეგების მიხედვით.

რეზერვუარი

რეზერვუარი წარმოადგენს გეგმაში მარკუთხედის ფორმის, მიწისქვეშა ნაგებობას, გაბარიტული ზომებით ძირითად „1“-„3“ და „ა“-„ბ“ ღერძებს შორის: 12,60X38,10 მეტრი

რეზერვუარის ნაგებობა ერთსართულიანია, ნაგებობის სიმაღლე შენობის საძირკვლის ფილის ზედა ნიშნულიდან გადახურვის ფილის ზედა დონემდე შედგენს: 3,80 მეტრს. საპროექტო ნაგებობის პირობით ნიშნულს: ±0.00-ს შეესაბამება აბსოლუტური ნიშნული: +402.200მ. კონსტრუქციული სქემის მიხედვით, რეზერვუარის ნაგებობა მონოლითური რკ/ბეტონის კარკასული ტიპისაა. რეზერვუარის ნაგებობის გაანგარიშება შესრულებულია პროგრამული კომპლექსის „LIRA-SAPR 2020 R3“-ის საშუალებით.

საპროექტო რეზერვუარის კონსტრუქციული ელემენტების დახასიათება

- საძირკვლები (რეზერვუარის ძირი) დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონის ფილის სახით, სისქით: 30(h)სმ; საძირკვლების ფილის ქვეშ გათვალისწინებულია: ჰიდროიზოლაციის დამცავი ფენა, ჰიდროიზოლაცია, ბეტონის მოსამზადებელი ფენა, სისქით 10სმ, B15 (C12/15) კლასის ბეტონისაგან და ფენებად (20-25სმ) დატკეპნილი, მდინარის ხვინჭის ბალიში;
- რეზერვუარის თანაორმოს ძირი და კედლები დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონისაგან, სისქით 30სმ;
- რეზერვუარში ჩასასვლელი კიბის პანდუსის ფილა დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონისაგან, სისქით 15სმ;
- რეზერვუარის გარე კედლები და შიდა კედლები დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონისაგან, სისქით: 30სმ;
- რეზერვუარის გადახურვა დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონის ურიგელო ფილის სახით, სისქით: 20სმ;

დაცვის ოთახები (გეითები)

დაცვის ერთი ოთახი წარმოადგენს გეგმაში მარკუთხედის ფორმის ნაგებობას, გაბარიტული ზომებით: 2,0X2,0X2,20(h)მ მეტრი. დაცვის მეორე ოთახი წარმოადგენს გეგმაში მარკუთხედის ფორმის ნაგებობას, გაბარიტული ზომებით: 3,0X4,50X2,20(h)მ მეტრი. დაცვის ოთახების შენობები ერთსართულიანია საპროექტო ნაგებობის პირობით ნიშნულს: ±0.00-ს შეესაბამება აბსოლუტური ნიშნული: +402.200მ. კონსტრუქციული სქემის მიხედვით, დაცვის ოთახების შენობა ლითონის კარკასული ტიპისაა.

საპროექტო დაცვის ოთახების კონსტრუქციული ელემენტების დახასიათება

- საძირკვლები (შეთავსებულია დაცვის ოთახის იატაკის ფილასთან) დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონის კოჭოვანი ფილის სახით, სისქით: 20(h)სმ; საძირკვლების ფილის ქვეშ გათვალისწინებულია: ჰიდროიზოლაციის ფენა, ბეტონის მოსამზადებელი ფენა, სისქით 10სმ, B15 (C12/15) კლასის ბეტონისაგან და დატკეპნილი, მდინარის ხვინჭის (20-30სმ სისქის) ბალიში;
- საძირკვლების ფილის კოჭები (გარე პერიმეტრზე) დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონისაგან, მართკუთხა განივი კვეთებით: 40X50(h)სმ;
- სვეტები და გადახურვის კოჭები დაპროექტებულია მართკუთხა პროფილის ლითონის მილებისაგან: □80X80X3მმ; სახურავის გრძივები დაპროექტებულია მართკუთხა პროფილის ლითონის მილებისაგან: □80X60X3მმ;
- კარკასის შემავსებელი კედლები და სახურავის ბურული დაპროექტებულია სენდვიჩის ტიპის პანელებისაგან.

საპროექტო რეზერვუარის ნაგებობის მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს მონოლითური რკ/ბეტონის სივრცული კარკასი, ხისტი კვანძებით. დაცვის ოთახების შენობის მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს ლითონის კარკასი.

ბეტონის საპროექტო კლასი მზიდ კონსტრუქციებში შეადგენს: B25; (C20/25)

არმატურების საპროექტო კლასი მზიდ კონსტრუქციებში შეადგენს: B500C და B240C. რეზერვუარის ნაგებობის და დაცვის ოთახის მზიდი კონსტრუქციების გეომეტრიული ზომები, ბეტონის კლასი და არმირება დაპროექტებულია შენობების მზიდი კონსტრუქციული სისტემის ანგარიშის შედეგების მიხედვით.

საპროექტო შენობების მზიდი კონსტრუქციების გაანგარიშებათა შედეგები აკმაყოფილებენ ნაგებობების მდგრადობის, სიხისტის და სიმტკიცის ნორმატიული დოკუმენტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სასწორი

სასწორი წარმოადგენს ქარხნული წესით დამზადებულ, მიწის ზედაპირზე, მოხრეშილ მოედანზე მოწყობილ რკ/ბეტონის ფილაზე საანკერო ჭანჭიკებით ჩამაგრებულ, ლითონის კონსტრუქციებისაგან აწყობილ დანადგარს. სასწორის ძირის მაქსიმალური გაბარიტული ზომები პანდუსების ჩათვლით შეადგენს: 4,50X25,04 მეტრს.

- სასწორის ძირი, რომელზედაც განთავსებულია დანადგარი, დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონის ფილის სახით, სისქით 50სმ;
- საძირკვლების ქვეშ ეწყობა ბეტონის მოსამზადებელი ფენა, სისქით 10სმ;
- სასწორზე ასასვლელი და ჩამოსასვლელი საავტომობილო პანდუსები დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონის ფილის სახით, სისქით 12სმ, დატკეპნილი ღორღის ბალიშზე;
- სასწორის გვერდითა კედლები, რომელშიც განთავსებულია დანადგარი, დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონისაგან, სისქით 20სმ; ბეტონის კლასი რკ/ბეტონის კონსტრუქციებში შეადგენს: B25; არმატურების კლასი რკ/ბეტონის კონსტრუქციებში შეადგენს: A500C და A240C.

საყრდენი კედელი

რკინიგზის ჩიხის გასწვრივ, დაპროექტებულია მცირე სიმაღლის საყრდენი კედელი, რომელიც ყოველ 12,0 მეტრში გაჭრილია (გაყოფილია სექციებად) სეისმური (სადეფორმაციო) ნაკერებით. საყრდენი კედლის მთლიანი სიგრძე შეადგენს: 373,88 მეტრს. მაქსიმალური სიმაღლე საძირკვლის თავიდან შეადგენს: 2,20მ.

- საყრდენი კედლის საძირკვლები დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონის ლენტური ტიპის სახით, განივი კვეთებით: 180X30(h)სმ; 110X25(h)სმ; 65X25(h)სმ;
- საძირკვლების ქვეშ გათვალისწინებულია ბეტონის მოსამზადებელი ფენა, სისქით 5სმ, B15 კლასის ბეტონისაგან;
- საყრდენი კედლები დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონისაგან, სისქით 30სმ და 25სმ;

ბეტონის კლასი რკ/ბეტონის კონსტრუქციებში შეადგენს: B25; არმატურების კლასი რკ/ბეტონის კონსტრუქციებში შეადგენს: A500C და A240C.

საკომუნიკაციო და სანიაღვრე ჭების ხუფები

საკომუნიკაციო და სანიაღვრე ჭების ხუფები დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონის ფილის სახით, გაბარიტული ზომებით: 400X400სმ, სისქით: 35სმ;

ჭების თავზე მდებარე სარევიზიო ხუფების ადგილას ფილა ამოჭრილია გაბარიტული ზომებით: 60X60სმ, ჭების თავსახურები დაპროექტებულია ფოლადის ცხაურებით.

ბეტონის კლასი რკ/ბეტონის კონსტრუქციებში შეადგენს: B25; არმატურების კლასი რკ/ბეტონის კონსტრუქციებში შეადგენს: A500C და A240C.

სანიაღვრე არხები

სანიაღვრე არხები დაპროექტებულია „П“-ს ფორმის განივი კვეთებით, მონოლითური რკ/ბეტონისაგან, გაბარიტული ზომებით: 70X65(h)სმ, სანიაღვრე არხების კედლების სისქე შეადგენს: 20სმ; ძირის სისქე შეადგენს: 25სმ;

სანიაღვრე არხების თავსახურები დაპროექტებულია ფოლადის ცხაურებით.

ბეტონის კლასი რკ/ბეტონის კონსტრუქციებში შეადგენს: B25; არმატურების კლასი რკ/ბეტონის კონსტრუქციებში შეადგენს: A500C და A240C.

ღობე

ღობე 3 ტიპისაა: ლენტური საძირკვლით მოწყობილი ღია ღობე; წერტილოვანი საძირკვლით მოწყობილი დროებითი ღია ღობე და თუნუქის დახურული ღობე ლენტური საძირკველით, ღობის სიმაღლე შეადგენს: 2,0მ და 1,60მ.

საძირკვლები დაპროექტებულია მონოლითური ბეტონის წერტილოვანი ტიპის სახით გაბარიტული ზომებით: 40X40X50(h)სმ და მონოლითური რკ/ბეტონის ლენტური ტიპის სახით, განივი კვეთებით: 32X20(h)სმ; ღობის ცოკოლის კედლები დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონისაგან განივი კვეთებით: 20X50(h)სმ.

ბეტონის კლასი რკ/ბეტონის კონსტრუქციებში შეადგენს: B25; არმატურების კლასი რკ/ბეტონის კონსტრუქციებში შეადგენს: B500C.

<u>დასკვნა:</u>

ქალაქი თბილისი, ქინძმარაულის ქუჩა №37, შპს „თბილისი დრაი პორტი“-ს (ID: 405483454) საკუთრების მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდი: № 01.19.33.015.233 ასაშენებელი მრავალფუნქციური კომპლექსის ობიექტების: B კლასის სასაწყობე შენობის, საოფისე შენობის; დამხმარე და საინჟინრო შენობა-ნაგებობების შეთანხმებული პროექტის ცვლილების (კორექტირებული პროექტის) კონსტრუქციული ნაწილი დამუშავებულია საკმარისი მოცულობით, საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისობაში.

პროექტის გრაფიკული ნაწილისა და შენობების ძირითადი მზიდი კონსტრუქციების ანგარიშის შედეგების ანალიზის საფუძველზე, ექსპერტიზა დადებით შეფასებას აძლევს: ქალაქი თბილისი, ქინძმარაულის ქუჩა №37, შპს „თბილისი დრაი პორტი“-ს (ID:405483454) საკუთრების მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდი: № 01.19.33.015.233 ასაშენებელი მრავალფუნქციური კომპლექსის ობიექტების: B კლასის სასაწყობე შენობის, საოფისე შენობის; დამხმარე და საინჟინრო შენობა-ნაგებობების შეთანხმებული პროექტის ცვლილების (კორექტირებული პროექტის) კონსტრუქციულ ნაწილს და რეკომენდაციას უწევს მას მშენებლობის ნებართვის მისაღებად.

შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის
აღმასრულებელი დირექტორი,
ექსპერტი, კონსტრუქტორი: /ვახტანგ ჯაფარიძე/

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის ნომერი: 115518
განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B10105547
ამონაწერის მომზადების თარიღი: 03/09/2010 15:40:23

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს ბაზისი XXI
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ძველი თბილისის რაიონში, აღმაშენებლის გამზირი 63ა
საიდენტიფიკაციო კოდი:	202235296
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი:	12/12/2003
სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი:	2/4-3679
მარეგისტრირებელი ორგანო:	დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლო
საგადასახადო ინსპექცია:	თბილისის რეგ.ცენტრი ძველი თბილისის გ-ბა

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები

- 01001003423, იოსებ ცერცვაძე,
  გენერალური დირექტორი, ,
- 01005021796, ვახტანგ ჯაფარიძე,
  , , აღმასრულებელი დირექტორი

პარტნიორები

	წილი	ანგარიშის ნომერი
01001003423, იოსებ ცერცვაძე,	100.00000000%	202235296-SH-00001

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება:

რეგისტრირებული არ არის

ДИПЛОМИ

წარჩინებით

ИВ № 257304

ეს დიპლომი მიეცა [illegible]

[illegible]

მასზე, რომ იგი 1980 წელს შევიდა [illegible]

[illegible]

და 1985 წელს დაამთავრა [illegible]

[illegible]

სრული კურსი სპეციალობით [illegible]

[illegible]

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1985 წ. „3" [illegible] გადაწყვეტილებით

[illegible]

კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

ბ. ა.

ქალაქი [illegible] 1986 წ. „29" 05

ДИПЛОМ

С ОТЛИЧИЕМ

ИВ № 257304

Настоящий диплом выдан Джапаридзе Вахтангу Гивиевичу

в том, что он в 1980 году поступил

в Грузинский политехнический институт им. В.И. Ленина

и в 1985 году окончил полный курс названного института

по специальности промышленное и гражданское строительство

Решением Государственной экзаменационной комиссии от [illegible] 1985 г.

присвоена квалификация инженера строителя

Председатель Государственной экзаменационной комиссии

М. П. Город Тбилиси „29" 05 1986 г.

Регистрационный № 1276

Georgia IDENTITY CARD

საქართველო

GEO



სახელი / FIRST NAME
ვახტანგ
VAKHTANG

გვარი / LAST NAME
ჯაფარიძე
JAPARIDZE

მოქ. / CIT. GEO
სქესი / SEX მ / M
პირადი No / PERSONAL No 01005021796

დაბადების თარიღი / DATE OF BIRTH 10.06.1963
მოქმედების ვადა / DATE OF EXPIRY 26.06.2026

ბარათის No / CARD No 15IC19267

ხელმოწერა / SIGNATURE

დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
თბილისი
TBILISI

გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
26.06.2016

გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE

```
IDGEO15IC192675010050217 96<<<<
6306106M2606266GEO<<<<<<<<<<<<1
JAPARIDZE<<VAKHTANG<<<<<<<<<<<<
```

ინფორმაცია საპროექტო და საექსპერტო სამუშაოთა შესახებ

მე, ვახტანგ ჯაფარიძე, 1985 წლიდან ვეწევი საპროექტო საქმიანობას შ.პ.ს. „თბილქალაქ-პროექტ"-ში; 1997 წლიდან ვთანამშრომლობ სხვადასხვა საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციებთან, სადაც ვასრულებ საპროექტო და საექსპერტო სამუშაოებს; ასევე ვეწევი სამშენებლო ობიექტების ტექნიკურ ზედამხედველობას. 2004 წლიდან ვარ შ.პ.ს. „ბაზისი XXI"-ის აღმასრულებელი დირექტორი და მთავარი კონსტრუქტორი.

<u>ჩემი უშუალო ხელმძღვანელობით დამუშავებულია შემდეგი ობიექტები:</u>

– მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი საგარეჯოს ქ. №7-7ა;
– მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ქეთევან წამებულის გამზ. №15-17;
– მიწისძვრისაგან დაზიანებული, ქ. თბილისის მე-4 საშუალო სკოლის გამაგრების პროექტი;
– მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები ალ. ყაზბეგის გამზ. №34-ში;
– 10 სართულიანი ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრის პროექტი ქ. თბილისის I კლინიკური საავადმყოფოს ტერიტორიაზე;
– ღვინის ქარხანა ყვარელის რ/ნ, სოფელ შილდაში;
– მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი საბურთალოს ქ. №31;
– მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი შატბერაშვილის ქ. №7 და შატბერაშვილის ქ. №9;
– მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი მარუხის გმირების ქ. №11;
– მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ვ. ივერიელის ქ. №32 / საბადურის ქ. №32-32ა, №34;
– მრავალი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

<u>ბოლო 5 წლის განმავლობაში ჩატარებული საექსპერტო სამუშაოები:</u>

– ქ. გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფში, სოფელ სართიჭალასა და სოფელ საააკაძეში, შ.პ.ს. „ჩირინა"-ს მეფრინველეობის კომპლექსის ტერიტორიაზე, მდებარე შენობების საერთო მდგრადობისა და ნაგებობის მზიდი კონსტრუქციების საპროექტო მონაცემებთან შესაბამისობის შესახებ; საექსპერტო შეფასებები კონსტრუქციულ ნაწილზე.
– ქ. თბილისში, შავიშვილის ქ. №1 / ქავთარაძის ქ. №19, შ.პ.ს. „მონოლით ჯგუფი"-ს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
– ქ. გურჯაანში, თავისუფლების ქუჩა № 6-ში, „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმ"-ის ავტოგასამართი კომპლექსის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
– ქ. თბილისში, დასახლება აეროდრომი, ქუჩა I, №20/ქ. თბილისი, აეროდრომის დასახლება მე-3 ქუჩა №17/ ქ. თბილისი, აეროდრომის დასახლება I ქუჩა №22, ე.ს. ამხანაგობა „იმედი 2015"-ის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
– ქ. თბილისში, ქინძმარაულის I შესახვევი №1-ში, შ.პ.ს. „უნიმედი კახეთი"-ს მიწის ნაკვეთზე მდებარე არსებული რეფერალური ჰოსპიტალის შენობის გამაგრება-გაძლიერების პროექტზე.
– ქ. რუსთავში, სექტორი-ჟ. შარტავა, მიკრო/რაიონი XXI, №16 და №22 სახლებს შორის მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
– ქალაქ თბილისში, ქუჩა უშანგი ჩხეიძის, №12-14-16 შ.პ.ს. „ბელი"-ს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
– ქ. თბილისში, შატბერაშვილის ქუჩა №74, შ.პ.ს. „სალვუს დეველოპმენტი"-ს დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
– ქალაქ თბილისში, ქუჩა წინანდალი №9 შ.პ.ს. „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ"-ს საგანმანათლებლო ცენტრის შენობის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
– ქ. თბილისში, სექტორი-სამგორი, კახეთის გზატკეცილის მე-7 კმ-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, შ.პ.ს. „R.I.G. GAS"-ის ნავთობბაზის ობიექტების პროექტის კონსრტუქციულ ნაწილზე
– ქ. თბილისში, ქუჩა წინანდლის, №9, (ნაკვეთი №01/107) შ.პ.ს. „კარდიოლოგიური კლინიკა გული"-ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე № 01.17.13.001.315 არსებული საავადმყოფოს რეკონსტრუქციის (დაშენება-გადაჯდომით) პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე
– ქ. თბილისში, სექტორი-საბურთალო, დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი I და ფარნავაზ მეფის გამზირს შორის, შ.პ.ს. „აკა"-ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე №01.10.06.009.042 მრავალფუნქციური კომპლექსის შენობის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე
– ქ. თბილისში, ქუჩა ნარიმანოვი, №12, შ.პ.ს. „ემ. ჯი. ალიანსი"-ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხ. სახლის (ბლოკი: №1–№6) პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.

მოწოდებულ ინფორმაციას ვადასტურებ,
შ.პ.ს. „ბაზისი XXI"-ის
აღმასრულებელი დირექტორი: /ვ. ჯაფარიძე/

საქართველო. შპს "ბაზისი XXI" * GEORGIA. "BAZISI XXI" LTD * 202235296

შეთავაზებული სპეციალისტის ბიოგრაფიული მონაცემები

შეთავაზებული თანამდებობა	ინჟინერ-კონსტრუქტორი
ფირმის დასახელება	შპს „ბაზისი XXI“
გვარი, სახელი	ჯაფარიძე ვახტანგ
პირადი №	01005021796
დაბადების თარიღი	10. 06. 1963წ.
საცხოვრებლის მისამართი	ქ. თბილისი, წყალტუბოს ქ. №20
ელ.ფოსტა	bazisi_xxi@yahoo.com
საკონტაქტო ტელეფონი	595 27 21 27
ოჯახური მდგომარეობა	აუტანელი
პროფესია	სამრეწველო და სამოქალაქო ობიექტების ინჟინერ-მშენებელი, დამპროექტებელი
საპროექტო ორგანიზაციაში მუშაობის სტაჟი	39 წელი
ექსპერტად მუშაობის სტაჟი	24 წელი
მოვალეობის დეტალურად აღწერა	სამრეწველო და სამოქალაქო ობიექტების კონსტრუქციების გაანგარიშება-დაპროექტება
განათლება 1980-1985წწ	უმაღლესი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სამშენებლო ფაკულტეტი, სამრეწველო და სამოქალაქო ობიექტების ინჟინერ-მშენებელი
ძირითადი კვალიფიკაციები 1985 წლიდან დღემდე	შ.პ.ს. „ობილქალაქპროექტი“-ს წამყვანი კონსტრუქტორი, შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის მთავარი კონსტრუქტორი
დაპროექტებული ობიექტები 1985-2025წწ	მრავალი ინდივიდუალური და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, საწარმოო დანიშნულების ობიექტები, შენობების აღდგენა-გამაგრების პროექტები
თარიღი	04.03.2025წ.

ენები	კითხვა	წერა	ლაპარაკი
ქართული	მშობლიური	მშობლიური	მშობლიური
რუსული	თავისუფლად	თავისუფლად	თავისუფლად

დადასტურება:
მე, ქვემორე ხელისმომწერი ვადასტურებ, რომ წარმოდგენილი მონაცემები ზუსტად აღწერს ჩემს პიროვნებას, ჩემს გამოცდილებას და კვალიფიკაციას.

სპეციალისტი



ვახტანგ ჯაფარიძე

სახელმწიფო ლიცენზია

სლც№ 4122

საპროექტო-სამშენებლო საქმიანობის განხორციელებაზე

ეძლევა შპს „ბაზისი XXI“

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის № 63-ა

მასზედ, რომ მას აქვს უფლება განახორციელოს საპროექტო-სამშენებლო საქმიანობა დანართში მოცემულ სახეობებში.

ლიცენზია მოქმედებს საქართველოს ტერიტორიაზე

განსაკუთრებული პირობები

ლიცენზიის მოქმედების ვადა ლიცენზია გაცემულია 11122004წ.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილე, სპეციალიზებული მუდმივმოქმედი სალიცენზიო-სანებართვო კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ ლეჟავა

საქართველო, შპს „ბაზისი XXI“ GEORGIA, "BAZISI XXI" LTD 202235296

საპროექტო-სამშენებლო საქმიანობაზე
№4177 სახელმწიფო ლიცენზიის
დანართი

ჩამონათვალი

საპროექტო – სამშენებლო საქმიანობის სახეებისა, რომელთა განხორციელების უფლება ეძლევა შპს-ს „ბაზისი XXI“

1. *საცხოვრებელი, სამოქალაქო და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობების დაპროექტება (მ.შ. ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა და რეკომენდაციების დამუშავება):*
   - საცხოვრებელი შენობები:
     ბ. ხუთსართულიანი (მანსარდის ჩათვლით);
   - საზოგადოებრივი შენობები და ნაგებობები:
     ბ. ხუთ სართულამდე ან 18 მ. სიმაღლის და დახურული საშუალო სირთულის კონსტრუქციის დარბაზები.
2. *სამრეწველო, საწარმოო და სასოფლო-სამეურნეო შენობა-ნაგებობათა დაპროექტება:*
   - საწარმოო შენობა-ნაგებობები;
   - სამრეწველო ობიექტები:
     ა. მცირე სიმძლავრის.
3. *პროექტების ექსპერტიზა:*
   - საცხოვრებელი, სამოქალაქო და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობები.
   - საწარმოო შენობა-ნაგებობები;

გაცემულია 2004 წლის 14 დეკემბერს.

სპეციალიზებული მუდმივმოქმედი
სალიცენზიო-სანებართვო კომისიის
თავმჯდომარის მოადგილე ალბერტ ჯანელიძე

შპს „ბაზისი XXI“ საქართველო GEORGIA "BAZISI XXI" LTD 202235296

საექსპერტო შეფასება

ქ. თბილისში, ქინძმარაულის ქუჩა N16-ზე (ს.კ.# 01.19.33.015.233)
ასაშენებელი საოფისე შენობის პროექტის

კონსტრუქციულ ნაწილზე

საექსპერტიზოდ წარმოდგენილია ქ. თბილისი ქინძმარაულის ქუჩა N16-ზე (ს.კ.# 01.19.33.015.233) ასაშენებელი საოფისე შენობის პროექტის:

- არქიტექტურული ნაწილი;
- კონსტრუქციული ნაწილი;
- ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური გამოკვლევის შედეგები
- შენობის მზიდი კონსტრუქციის, როგორც ერთიანი ღეროვან-ფირფიტოვანი სივრცული სისტემის გაანგარიშება.

პროექტის კონსტრუქციული ნაწილი დამუშავებულია შპს "კუბიკონი"-ს მიერ (წამყვანი კონსტრუქტორი გ. თაბაგარი).

საპროექტო შენობის აღწერილობა

მიღებული საპროექტო გადაწყვეტით ობიექტი წარმოადგენს მიწის ზედა ორ სართულიან შენობას. გეგმაში მართკუთხა მოხაზულობით, ზომები ღერძების მიხედვით 13.80 x 8,25 მ-ს შეადგენს.

ელემენტების გეომეტრიული ზომები:

- საძირკველი: **მონ. რკ/ბ. ერთიანი ფილა სისქით 20 (h) სმ.**
- სვეტები: **ფოლადის მილკვადრატი 100 X 5**
- რიგელები: **ფოლადის ორტესებრი კვეთის IPE 200; IPE 160**
- გადახურვის ფილები: **ფოლადის გრძივებზე მოწყობილი OSB ფილები ;**
- კიბეები: **ფოლადის**
- კედლები: **საკედლე სენდვიჩ-პანელები**
- სახურავი: **ბრტყელი გადახურვა, რომელიც ეწყობა ფოლადის გრძივებით – სახურავის სენდვიჩ-პანელის ბურულით**

სამშენებლო ტერიტორია განისაზღვრება შემდეგი კლიმატური პირობებით:

- ჩაყინვის სიღრმე h = 0.00 მ (პნ 01.05-08);
- ქარი (ნორმატიული) W_0 = 0.85 კპა (პნ 01.05-08);
- თოვლი (ნორმატიული) q = 0.50 კპა (პნ 01.05-08);

სეისმურობა

საქართველოს ტერიტორიის სეისმური საშიშროების რუქის მიხედვით ტერიტორია იმყოფება 8 ბ. სეისმურ ზონაში (სკალა MSK64), ჰორიზონტალური აჩქარება A - 0.17 (სეისმურობის კოეფიციენტი);

საძირკვლის ფუძედ მიჩნეული გრუნტის მახასიათებლები:

პროექტის მიხედვით ორი სართულიანი შენობა 20 სმ.-იანი სისქის წიბოვანი საძირკვლის ფილის საშუალებით ეფუძნება გრუნტს – **სგე - II (თიხნარი ყავისფერი და ღია ყავისფერი),** რომელის მახასიათებლებია:

სგე-II			
